

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება № 9

ქ.ბაღდათი

1 თებერვალი 2017 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის მ/შ არჩილ გოგსაძის სახით (ქ.ბაღდათი, წერეთლის ქ.#9) და მეორე მხრივ, ი/მ „ვალერი ენდელაძე“ (შემდგომში „მიწოდებელი“) წარმოდგენილი ვალერი ენდელაძე-ს სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე #SPA17000348, აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებულ ხელშეკრულებას. CPV კლასიფიკატორის კოდი 55500000

1. ხელშეკრულების საგანი

უმწეოთა უფასო სასადილოს მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“) ტექნიკური პირობებისა და ფასების ცხრილის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით შეადგენს 41843 (ორმოცდაერთიათასრვაასორმოცდასამი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული მომსახურების ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3. მიწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერი პირია ლიანა გიორგიძე, გამგებლის სოციალური სამსახურის უფროსი.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ.#15, 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიწოდებლის მიერ ნაკისრივალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულებების შეუსრულებელი ნაწილის 0,3%-ს.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 1 თებერვლიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ "თვითმართვლი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი"

ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. №9

კოდი TTREG22

ერთიანი სახაზინო ანგარიში

ანგ. 200122900

მუნიციპალიტეტის გამგებელი მ/შ:



/არჩილ გოგსაძე/



მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე „ვალერი ენდელაძე“

ქ. ბაღდათი

ლიბერთი ბანკი

კოდი LBRTGE22

ს.კ. 09001007575

ა/ა GE80LB0112115987932000

ი.მ. ვალერი ენდელაძე:

3-96

/ვ. ენდელაძე/